კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტუდენტის სამახსოვრო ბარათი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის მოვალეობაა, დაიცვას კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და შინაგანაწესი; შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი აკადემიური მოთხოვნები; შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი რეგულაციები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის უკეთ დასაგეგმად და შემდგომი პრობლემების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შინაარსის გაცნობა.

1.სტუდენტის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, საგამოცდო პროცესი:

1.1. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით სემესტრის დაწყებამდე სტუდენტი გადის ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას, რომლის ვადებს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.

1.2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია იწყება სემესტრის დაწყებამდე **2** კვირით ადრე და გრძელდება 3 კვირის განმავლობაში. ადრე. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს სტუდენტი ვალდებულია, გადაიხადოს სემესტრული სწავლის საფასურის პირველი მესამედი, (ჩარიცხული აბიტურიენტებისთვის დადგენილი გადახდის წესი იხ. 1.4), წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს არ ექნება აკადემიური რეგისტრაციის გავლის საშუალება და ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს შეუჩეროს მას სტუდენტის სტატუსი. მეორე მესამედის გადახდა უნდა მოხდეს სწავლის დაწყებიდან მე-5 კვირის ბოლოს (შუალედურ გამოცდებამდე), ხოლო მესამე მესამედის - მეთოთხმეტე კვირის ბოლოს.

1.3. აკადემიური რეგისტრაცია იწყება სწავლის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და სრულდება სწავლის დაწყებიდან 2 კვირის შემდეგ. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში - „გონი“ პირადი წვდომის საშუალებით რეგისტრირდება/ირჩევს შეთავაზებულ საგნებს. სტუდენტს, რომელსაც არ ექნება გავლილი ადმინისტრაციული რეგისტრაცია (არ ექნება გადახდილი სემესტრული საფასურის პირველი მესამედი), არ ექნება სისტემაში წვდომის და აკადემიური რეგისტრაციის გავლის საშუალება.

1.4. კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხული აბიტურიენტები ადმინისტრაციულ რეგისტრაციას გადიან რეგისტრაციის გავლისათვის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში, რა დროსაც დადგენილ საბუთებთან ერთად, უნდა წარმოადგინონ სრული სემესტრული გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.“

1.5. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში- „გონი“ პირადი წვდომის საშუალებით შეამოწმოს პირადი ფინანსური დავალიანება.

1.6. სტუდენტი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს პროგრამის სასწავლო გეგმას, რათა ოპტიმალურად დაგეგმოს პირადი სასწავლო პროცესი ყოველი სემესტრის განმავლობაში.

1.6.1. სტუდენტი ვალდებულია, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში - „გონი“ პირადი წვდომის საშუალებით, გაეცნოს ბლოკს - „ჩემი კურსები“, სადაც მას უკვე არჩეული/წარმატებით დამთავრებული/ ჩაჭრილი საგნები აქვს ჩამოთვლილი. სტუდენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს პროგრამის მიერ გაწერილ

ე.წ. „დასაგროვებელი კრედიტები“-ს ველში თითოეულ ბლოკში რამდენი სავალდებულო კრედიტი აქვს ჯამურად ასათვისებელი და მას რამდენი აქვს აქედან წარმატებით ჩაბარებული.

1.6.2. სტუდენტი ვალდებულია, სისტემაში- „გონი“ პირადი წვდომის საშუალებით, გარდა პროგრამის მიერ გაწერილი საგნებისა, ყურადღებით გაეცნოს ბლოკს- „პროგრამის სხვა კურსები“, იმ სასწავლო კურსების (სტატუსისა და კრედიტის მითითებით) ჩამონათვალს, რომელსაც სისტემა მას სთავაზობს მიმდინარე სემესტრში.

1.6.3. სტუდენტი პირველ რიგში უნდა დარეგისტრირდეს სავალდებულო სტატუსის მქონე საგნებზე, შემდეგ არჩევით საგნებზე.

1.6.4. სტუდენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ 3-ჯერ ერთი და იგივე საგნის ჩაუბარებლობის გამო, უნივერსიტეტს უფლება აქვს, შეუწყვიტოს მას სტუდენტის სტატუსი.

1.6.5. სტუდენტს სისტემა სემესტრის განმავლობაში მხოლოდ გეგმიურად გაწერილი (26-34) კრედიტების ფარგლებში არსებულ საგნებზე დარეგისტრირების საშუალებას მისცემს. სტუდენტის აკადემიური ჩამორჩენის გათვალისწინებით, ფაკულტეტის დეკანის თანხმობით, მისი სემესტრული დატვირთვა ინდივიდუალურად შეიძლება გაიზარდოს იმ პირობით, რომ ჯამში მისი წლიური დატვირთვა არ აღემატებოდეს 75 კრედიტს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა დამატებით საგნების „ასაღებად“ უნდა მიმართოს დეკანატის თანამშრომელს.

1.6.5.[1] დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. (01-133, 11.12.2020)

1.6.6. სილაბუსით გათვალისწინებული ყველა წიგნი რამდენიმე ეგზემპლარად განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სტუდენტს, ვისაც არ აქვს წიგნი, შეუძლია ბიბლიოთეკაში იმუშაოს ან ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის შენობაში არსებულ ქსეროქრის ჯიხურებში გადაიღოს ასლები. სტუდენტი არ არის ვალდებული შეიძინოს წიგნი ან მოამზადოს დავალება ისეთი წიგნიდან, რომელიც არ არის ბიბლიოთეკაში. თუ მითითებული წიგნი ბიბლიოთეკაში არ არის საკმარისი რაოდენობით, სტუდენტებმა უნდა მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს ან ბიბლიოთეკის გამგეს და ამის შემდეგ ბიბლიოთეკა შეიძენს სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურის საჭირო რაოდენობას.

1.6.7 სტუდენტი ვალდებულია ნებისმიერ საკითხზე მიმართოს დეკანატს ფაკულტეტის მეილზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით:

- ✓ **მედიცინის ფაკულტეტი** - info.medicine@ciu.edu.ge (უცხოენოვანი პროგრამების სტუდენტებისთვის)
  - info.medgeo@ciu.edu.ge (ქართულენოვანი პროგრამების სტუდენტებისთვის)
- ✓ **სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი** - info.social@ciu.edu.ge
- ✓ **სამართლის ფაკულტეტი** - info.law@ciu.edu.ge
- ✓ **ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი** - info.business@ciu.edu.ge
- ✓ **მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი** - info.agro@ciu.edu.ge

დეკანატი ვალდებულია ყველა მეილს გასცეს პასუხი 48 საათის განმავლობაში.

1.6.8. სტუდენტს თავად ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ არჩეულ საგნებზე და სემესტრულად მოგროვებულ კრედიტებზე.

1.6.9 სტუდენტი ვალდებულია, აკონტროლოს რამდენად სწორადაა ასახული მისი საგნების შუალედური შეფასებები „გონში“ და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, დასკვნით გამოცდამდე 3 დღით ადრე მიმართოს დეკანატს.

1.7. სტუდენტს გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს მხოლოდ საგამოცდო ცხრილით დანიშნულ დღეს და გაცდენის შემთხვევაში მას არ ექნება საგამოცდო პერიოდში გაცდენილი გამოცდის გადაბარების უფლება, გარდა საპატიო შემთხვევებისა (იხ. პუნქტი **3.3**).

1.8. გამოცდაზე მისული სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე.
1.9. სტუდენტს, რომელსაც სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგამოცდო ტესტზე მუშაობისას ესაჭიროება კონსტიტუცია, კოდექსი ან სხვა ნორმატიული მასალები, გამოცდაზე უნდა ქონდეს ინდივიდუალურად თავისი. ერთმანეთის დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტები მოიხსნებიან გამოცდიდან.
1.10. გამოცდაზე მისული სტუდენტი ვალდებულია იცოდეს თავისი ჯგუფის ნომერი, საგნის ზუსტი დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საგამოცდო ცენტრი უფლებას იტოვებს, სტუდენტი არ დაუშვას გამოცდაზე.
1.11. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდაზე მისული სტუდენტი შესრულებულ საგამოცდო ტესტს არ ჩააბარებს და შესაბამის უწყისში არ დააადასტურებს ხელმოწერით, მას არ დაუფიქსირდება შედეგი და არ მიეცემა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.
1.11[1] იმ შემთხვევაში, თუ მუდლში გამოცდის დასრულებისას სტუდენტი არ მიმართავს დამკვირვებელს და მისი თანდასწრებით პროგრამულად არ დაასრულებს (დასრულების ღილაკზე დაჭერით) საგამოცდო ნაშრომს, მას არ დაუფიქსირდება შედეგი და არ მიეცემა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.
1.12. სტუდენტის შეფასება „გონში“ აისახება გამოცდის ჩაბარებიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში გამოცდის შეფასების ასახვიდან 2 დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული ნიშანი.
1.13. გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტის ნაშრომი არ ექვემდებარება შეფასებას (ინფორმაცია გამოცდიდან მოხსნის თაობაზე დაფიქსირებულია თვით საგამოცდო ნაშრომზე და საგამოცდო ცენტრის უწყისში).

1.14. სტუდენტი ვალდებულია:
- გადაამოწმოს ფინანსური სტატუსი და გადაიხადოს დასაშვები მინიმალური თანხა საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე;
- სტუდენტი ვალდებულია 48 საათით ადრე შეამოწმოს, დაშვებულია თუ არა კონკრეტულ გამოცდაზე და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს დეკანატს;
- საგამოცდო ოთახში შესვლამდე გამორთოს მობილური ტელეფონი და ჩააბაროს დამკვირვებელს სხვა პირად ნივთებთან ერთად;
- თან იქონიოს მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი საბუთი, საწერი კალამი, პირადი საჭიროების მიხედვით წყალი, კონკრეტულ გამოცდაზე ნებადართული ნორმატიული აქტები, კოდექსი;
- საგამოცდო დავალების მიღების შემდეგ დამოუკიდებლად შეუდგეს მის შესრულებას;
- პირადობის მოწმობა განათავსოს თვალსაჩინოდ სამუშაო მაგიდაზე, მისგან მარჯვნივ;
- არ დატოვოს საგამოცდო ოთახი საგამოცდო დავალების დასრულებამდე.

1.15. კატეგორიულად აკრძალულია:
- გამოცდაზე დაგვიანება (დაგვიანების შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება);
- საგამოცდო ადგილზე მობილური ტელეფონის მიტანა;
- გადაწერის მცდელობა;
- გადალაპარაკება, კარნახი და სხვისი დავალების შესრულება;
- კოდექსებისა და სხვა დამატებითი დამხმარე მასალების ერთმანეთისთვის გადაწოდება;
- გამოცდის მსვლელობისას სტუდენტის აუდიტორიიდან გასვლა ექიმის კონსულტაციის გარეშე.

1.16. სტუდენტი გამოცდიდან მოიხსნება და არ ექნება გამოცდის აღდგენის შესაძლებლობა:
- მობილური ტელეფონის საგამოცდო ადგილზე აღმოჩენის შემთხვევაში;

- გადაწერის მცდელობისათვის;
- აუდიტორიაში ქცევის წესების დარღვევისათვის (ხმაური, დამკვირვებლის შენიშვნის უგულე-ბელყოფა);

1.17. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი იტოვებს უფლებას დაატოვებინოს საგამოცდო აუდიტორია სტუდენტს.

1.18. საგამოცდო ნაშრომის შეფასების გაუქმება ხდება საგამოცდო ცენტრის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა დამკვირვებლის ინფორმაციას ან ვიდეოჩანაწერს. ასევე, პედაგოგის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით. საგამოცდო ცენტრის უფროსი დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, პროგრამულად „უუქმებს“ სტუდენტს შესაბამისი საგნის გამოცდას და სტუდენტს აღარ ეძლევა განმეორებით გამოცდის ჩაბარების უფლება. სტუდენტს შეუძლია უნივერსიტეტის რექტორთან გაასაჩივროს საგამოცდო ცენტრის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება: სტუდენტი განცხადებას აგზავნის ელ.ფოსტაზე service115@ciu.edu.ge გამოცდის გაუქმებიდან 24 საათის განმავლობაში.

2. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება:

2.1. სტუდენტის მიერ სწავლების პერიოდში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს - **40 ქულა;**

ბ) შუალედურ გამოცდას - **20/30 ქულა;**

გ) დასკვნით გამოცდას - **30/40 ქულა.**

2.2. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა **40** ქულა. (სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე მაქსიმალური შეფასებაა **30** ქულა) დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ **16** ქულის მიღების შემთხვევაში (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით კონკრეტულ პროგრამაზე შესაძლებელია განისაზღვროს უფრო მაღალი ზღვარი. ამ მომენტისათვის მედიცინის ფაკულტეტის პროგრამებზე გამოცდის ზღვარი შეადგენს 20 ქულას). დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით სილაბუსების შესაბამისად.

2.2.1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაგროვებული აქვს მინიმუმ **25** ქულა. (სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე - **35** ქულა) დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის მიუხედავად შუალედური შეფასებებით დაგროვებული 41 ქულაზე მეტისა.

2.3. სტუდენტი, რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდენს რომელიმე სასწავლო კომპონენტში გეგმიური სააუდიტორიო მეცადინეობების ნახევარზე მეტს, ლექტორის გადაწყვეტილებით არ იქნება დაშვებული დასკვნით გამოცდაზე.

2.4. შუალედური შეფასებების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტთა მხრიდან სწავლის პერიოდში გაცდენილი სემინარების/პრაქტიკული მეცადინეობების აღდგენა შესაძლებელია აკადემიური/მოწვეული პერსონალის გადაწყვეტილების შესაბამისად, მათი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. სემინარების/პრაქტიკული მეცადინეობების აღდგენაზე თანხმობის შემთხვევაში, სემესტრის განმავლობაში შესაძლებელია აღდგეს არაუმეტეს 3 სემინარი.

2.5. დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები:

2.5.1. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს თუ:

- შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით;
- შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი;
- საპატიო მიზეზით გააცდინა დასკვნითი გამოცდა, წარმოადგენა შესაბამისი მტკიცებულება და მოიპოვა რექტორის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში, შუალედური შეფასებებით მოპოვებული ქულების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ **25** ქულა. (იხ. პუნქტი 3.3.)

3. შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენაზე გასვლის პირობები:

3.1. სტუდენტი, რომელიც საპატიო მიზეზით გააცდენს შუალედურ/დასკვნით გამოცდას, კონკრეტული საგნის გამოცდის თარიღიდან სამი დღის ვადაში დაწერს განცხადებას, წარმოადგენს შესაბამის ცნობას სტუდენტთა მომსახურების ცენტრში, უფლება აქვს, გავიდეს შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენაზე. დაგვიანებით დაწერილი განცხადება არ განიხილება.

3.2. სტუდენტს, რომელსაც ფინანსური დავალიანების გამო გაუცდება შუალედური ან დასკვნითი გამოცდა, თანხის გადახდის შემდეგ გაცდენილი გამოცდების აღდგენის უფლება არ აქვს.

3.3. გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, სახელმწიფოს ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის საგანგებო რეჟიმი, სტიქიური უბედურება ან საგანგებო მდგომარეობა.“

4. კრედიტების მიხედვით სწავლის საფასურის გადახდის და ინტენსიური კურსის დანიშვნის პირობები:

4.1. გარე მობილობით გადმოსულ ან სტატუსაღდგენილ სტუდენტს (გარდა ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებული სტუდენტებისა), რომელსაც მის მიერ გავლილი საგნებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა არ აძლევს საშუალებას სემესტრის მანძილზე აიღოს **15** კრედიტზე მეტის შესატყვისი საგნები, სწავლის საფასურს გადაიხდის აღებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.“

4.2. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სემესტრების ვადაში ვერ დაასრულებს პროგრამას, ყოველ დამატებით სემესტრში ვალდებულია გადაიხადოს სწავლის სემესტრული გადასახადი სრულად.

4.3. სასწავლო კურსში დადებითი შედეგის მიუღწევლობისას, მსურველ სტუდენტთა საკმარისი ოდენობის შემთხვევაში (მინიმუმ 5 სტუდენტი ქართულენოვანი, ხოლო მინიმუმ 3 სტუდენტი ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის), უნივერსიტეტი კენტი სემესტრის საგანს შესთავაზებს სტუდენტებს ლუწ სემესტრში და ასევე - ლუწი სემესტრის საგანს - კენტ სემესტრში. ასეთი საგნის შესწავლას სტუდენტი ახორციელებს თვითდაფინანსებით, ფასი განისაზღვრება საგნის კრედიტების რაოდენობის იხედვით.

4.4. უარყოფითი შეფასების მიღების დროს, სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსის ხელმეორედ შესწავლა მომდევნო სემესტრებში. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსის ხელმეორედ გავლის მსურველ სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე საჭიროა ცალკე ჯგუფის შექმნა, სტუდენტი საგნის შესწავლას ახდენს თვითდაფინანსებით - კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

4.5. სტუდენტს შეუძლია ზამთარ/ზაფხულის სემესტრში გაიაროს ინტენსიური კურსები, არაუმეტეს **7** კრედიტის ოდენობით. ინტენსიური სწავლების კურსის გავლას სტუდენტი ახორციელებს თვითდაფინანსებით. ინტენსიური კურსის ღირებულება გამოითვლება სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის მიხედვით, ქართულენოვან პროგრამებზე ერთი კრედიტის ღირებულება 65 ლარის, ხოლო უცხოენოვან პროგრამებზე - 80 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა, შეჩერება, შეწყვეტა (სტატუსის აღდგენისა და სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი სწავლის საფასურის შენარჩუნების პირობები):

5.1. სტუდენტს, რომელსაც კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, შეუძლია შეჩერების მომენტიდან 5 წლის განმავლობაში განცხადების საფუძველზე აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

5.2. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია, თუ მას აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან (დაგვიანების შემთხვევაში სემესტრის დაწყებიდან) 45 კალენდარული დღის განმავლობაში არც ერთ კომპონენტში შეფასება არ აქვს მიღებული.

5.3. სტუდენტს, ჯამში 5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, (სტატუსის შეჩერების ათვლა დაიწყო 2024 წლის 1 მარტიდან) სტატუსის აღუდგენლობის შემთხვევაში, უწყდება სტუდენტის სტატუსი.
5.4. წინა სემესტრში შეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში. გამონაკლის შემთხვევებში, სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში.
5.5. თუ სტუდენტს თანხის გადაუხდელობის გამო უჩერდება სტატუსი მიმდინარე სემესტრში, მისი სტატუსი შეიძლება აღდგეს თანხის გადახდისთანავე შეჩერებიდან არაუგვიანეს, 4 კვირისა.
5.6. სტუდენტს მის მიერ სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი სწავლის საფასური უკან არ დაუბრუნდება.
5.7. სტატუსის აღდგენის დროს, სტუდენტი იხდის მხოლოდ მიმდინარე სემესტრის გადასახადს. სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი თანხა ან დარჩენილი დავალიანება არ გადმოდის მიმდინარე სემესტრის ანგარიშში.
5.8. სტუდენტის სტატუსის აღდგენის განცხადებას თან უნდა დაერთოს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (მინიმუმ სემესტრული საფასურის მესამედი ნაწილი).
5.9. სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი სწავლის საფასური შესაძლებელია გადავიდეს სტუდენტის მიმდინარე გადასახადში, თუ სტუდენტმა სემესტრის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში საკუთარი განცხადებით შეიჩერა სტატუსი და განცხადებაში მიუთითებს ამის შესახებ. ასევე, თუ სემესტრის განმავლობაში სტუდენტი სტატუსის შეჩერებას მოითხოვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის ან უცხოეთში სასწავლებლად გამგზავრების მიზეზით და წარმოადგენს ამის დამადასტურებელ სათანადო დოკუმენტს.“
5.10. თუ სტუდენტი არ აგრძელებს სწავლას და აქვს ფინანსური დავალიანება, უმჯობესია შეიჩეროს სტატუსი პირადი განცხადების საფუძველზე, ამ შემთხვევაში ჩამოეჭრება მიმდინარე სემესტრის დავალიანება. თუ სტუდენტი სემესტრიდან მომდევნო სემესტრში გადავა აქტიური სტატუსით, მას გადაყვება წინა სემესტრის დავალიანება. უნივერსიტეტი არ არის ვალდებული დავალიანების მქონე ყველა სტუდენტს შეუჩეროს სტატუსი.

სტუდენტის კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები (გასაჩივრების პროცედურები)

- სტუდენტს უფლება აქვს შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგი გაასაჩივროს ფაკულტეტის სააპელაციო კომისიასთან, გაცნობიდან 2 დღის ვადაში წერილობითი ფორმით. (გაცნობად ითვლება ნიშნის ასახვა „გონში“). გამოცდის შეფასების გასაჩივრების მიზნით სტუდენტი წერს განცხადებას მეილზე service115@ciu.edu.ge. (ან გონში განცხადების ველში სააპელაციო კომისიის სახელზე). თავის მხრივ, სტუდენტთა მომსახურების სამსახური მიღებულ განცხადებას აგზავნის შესაბამის ფაკულტეტზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორთან და დეკანთან. ამის შემდეგ საჩივარი განიხილება ფაკულტეტის დებულებით დადგენილი სააპელაციო პროცედურების შესაბამისად. სააპელაციო კომისია ვალდებულია სტუდენტის საჩივარი განიხილოს 3 სამუშაო დღის ვადაში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება - ა) დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ განცხადების უსაფუძვლობის მიზეზით, ბ) გადასცემს ნაწერს იმავე მიმართულების სხვა პროფესორს ხელახალი შემოწმებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ხელახალი შემოწმების შედეგად განსაზღვრული შეფასება 10%-ზე მეტით განსხვავდება საგნის ლექტორის შეფასებისგან, ნაწერი გადაეცემა მესამე შემმოწმებელს, რომლის შემოწმების შედეგის საფუძველზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას ქულის საშუალო არითმეტიკულით კორექტირებაზე. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. *(სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 9/18 პუნქტი)*

- სტუდენტი თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით (შემთხვევა, რომელიც არ ეხება გამოცდის შედეგებს) განცხადებით მიმართავს დეკანს/რექტორს. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი და პრეტენზიები არ დაკმაყოფილდება, სტუდენტი 3 სამუშაო დღის ვადაში იღებს წერილობით დასაბუთებას უარის შესახებ საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტაზე. გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში საერთო წესით. *(სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 16/4 პუნქტი)*
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან 5 დღის ვადაში. ბრძანების გაცნობად ითვლება სტატუსის შესახებ ინფორმაციის ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. საჩივარს განიხილავს რექტორი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად საჩივრის მიღებიდან 5 დღის ვადაში. *(სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 13/8 პუნქტი)*
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და სასწავლო ხელშეკრულების მოშლა საჩივრდება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობის მიხედვით. *(სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 14/6 პუნქტი)*

ეთიკისა და კეთილსინდისიერების ფარგლებში სანქციების გასაჩივრება

კოდექსით განსაზღვრული ქცევის წესების დარღვევების შესახებ განცხადებებს განიხილავს ეთიკის კომისია (გარდა პლაგიატისა, რომლის განხილვის პროცედურა დადგენილია „პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესით“), რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი სახის დისციპლინარული სასჯელი იქნება გამართლებული კონკრეტულ საქმეზე. *(ეთიკის კოდექსის 16/1 მუხლი)*
სტუდენტს ან თანამშრომელს, რომელიც მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება არის არასწორ ფაქტებზე დაფუძნებული ან არ ემთხვევა უკვე არსებულ გადაწყვეტილებას მსგავს საქმეზე, მაშინ, მას შეუძლია, რომ მოითხოვოს გადაწყვეტილების გასაჩივრება რექტორთან. *(ეთიკის კოდექსის 20/1 მუხლი).*
საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული შემთხვევის დროს, ფაკულტეტის დეკანი რექტორთან შეთანხმებით განცხადებასა და თანდართულ მასალებს გადასცემს შესაბამისი კომპეტენციის პირს, რომელიც შეისწავლის ნაშრომს და 10 დღის ვადაში წარმოადგენს შესაბამის დასკვნას. დასკვნა განიხილება ფაკულტეტის სააპელაციო კომისიაზე, რომელზეც ასევე მოწვეულია ნაშრომის ავტორი თავისი პოზიციის წარმოსადგენად. პლაგიატის არსებობის/არარსებობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის სააპელაციო კომისია. *(პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესის 7/1 მუხლი)*

დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის ან სადოქტორო ნაშრომის, ასევე აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობაში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში 10 დღის ვადაში რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი) ასევე გარეშე პირებიდან. *(პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესის 8/1 მუხლი)*

პლაგიატის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს აკადემიურ საბჭოში გადაწყვეტილების გამოტანიდან 15 დღის ვადაში. *(პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესის 9/1 მუხლი)*

კრედიტების აღიარების წესი

სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად. *(მობილობის, შიდა მობილობისა და კრედიტების აღიარების წესი)*

სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს კომისიას. *(მობილობის, შიდა მობილობის და კრედიტების აღიარების წესის 7/1 მუხლი)*

ფაკულტეტის სააპელაციო კომისია

ფაკულტეტზე შექმნილია სააპელაციო კომისია, რომელიც განიხილავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სტუდენტთა და პედაგოგთა საჩივრებს.
სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში საერთო წესით. *(ფაკულტეტების დებულებები)*

სტუდენტთა ვალდებულებები, ქცევის წესები, აკრძალვები, ჯარიმები

<u>სტუდენტი ვალდებულია:</u>

- დაიცვას კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, აღნიშნული წესი, ეთიკის კოდექსი, პლაგიატთან დაკავშირებული რეგულაციები და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
- შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი აკადემიური მოთხოვნები;
- შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- გააააქტიუროს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ოფიციალური ელექტრონული მისამართი (@ciu.edu.ge), ყოველდღიურად შეამოწმოს ელ–ფოსტა. სტუდენტისათვის უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე და ასევე, სოციალურ ქსელ–facebook-ზე შექმნილ ჯგუფში გაგზავნილი შეტყობინება ითვლება ოფიციალურ გაფრთხილებად ადმინისტრაციის მხრიდან;

<u>უნივერსიტეტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სტუდენტს ეკრძალება:</u>

- თამბაქოს მოწევა; ალკოჰოლური სასმელების მოხმარება; ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ უნივერსიტეტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნა (**სანქცია:** *დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მოხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება).*
- აზარტული თამაშები (მათ შორის, ბანქო, ნარდი, დომინო და სხვ.; **სანქცია:** *დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში მოხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.*
- უნივერსიტეტის ინვენტარისა და აღჭურვილობის დაზიანება (**სანქცია:** *პირი დაჯარიმდება დაზიანებული/განადგურებული/მოპარული ნივთის ღირებულების შესაბამისად. დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მოხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.*

- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია დისკრიმინაციული და ჰომოფობიური ქმედებები, პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდა. ნებისმიერი ძალადობრივი ან შეურაცხმყოფელი ქმედება, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის, პერსონალის ან სტუდენტის მიმართ. (**სანქცია:***დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მოხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.*
- სტუდენტი ვალდებულია დაიცვას აკადემიური ქცევის წესები რაც გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:
    - პლაგიატი;
    - ზეწოლის მცდელობა უნივერსიტეტის თანამშრომელზე;
    - აკადემიური თაღლითობა;
    - დოკუმენტაციის გაყალბება.
- აკრძალულია აკადემიური დაწესებულებისთვის შეუფერებელი საქციელი, რაც ხელყოფს უნივერსიტეტის პრესტიჟს და იმიჯს.
- აკრძალულია აკადემიური დაწესებულებისთვის შეუფერებელი ჩაცმის სტილი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს !